

საქართველოს საგარეო პოლიტიკის
კონცეფტუალურ საკითხებთან დაკავშირებით
(სამუშაო პირი)

1. შესავალი

საქართველოს საგარეო პოლიტიკამ, ისევე როგორც ქვეყანამ, განვითარების რთული გზა გაიარა. დღეს, ინტენსიური სახე აქვს ჩვენს ურთიერთობებს კავკასიაში, თუ ჩვენს დიდ რეგიონულ მეზობლებთან, დასავლეთთან თუ მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. დღითი დღე უფრო აქტიური ხდება საქართველო გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. მიუხედავად ამისა, პასუხი უნდა გავცეს კითხვებს, თუ რამდენად ადეკვატურადაა ჩვენი ქვეყნის წინ მდგარი პრობლემები საგარეოპოლიტიკურ ამოცანებში ასახული, რაში მდგომარეობს ის ძირეული მოსაზრებები, რომელსაც ჩვენი საგარეო პოლიტიკა ეყრდნობა თავის საქმიანობაში. სწორედ საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების სისტემური ჩვენება წარმოადგენს მოცემული დაკუმენტის მიზანს.

2. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ამოცანები და მიზნები

კომუნისტური სისტემის კოლაფსთან ერთად ტოტალური დაპირისპირებისა და მსოფლიო ბირთვული ომის საფრთხე წარსულს ჩაბარდა. ძველი წესრიგი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბდა და რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ბალანსს ეფუძნებოდა, აღარ ასახავს დღევანდელი მსოფლიოს რეალობებს. მაშინ, როდესაც ჯერ არაა ფორმირებული მსოფლიო უსაფრთხოების ახალი, მყარი მექანიზმები, მკვეთრად იზრდება ლოკალური კონფლიქტებისა და ომების ალბათობა, ალბათობა იმისა, რომ წვრილ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში მოხდება მრავალი ქვეყნის ჩათრევა, პროცესების სტიქიური, უკონტროლო განვითარება. ავღანეთი და იუგოსლავია ასეთი ტიპის კონფლიქტების მკაფიო ნიმუშებია. საქართველოს მაგალითებისათვის შორს წასვლა არ სჭირდება. აფხაზეთის კონფლიქტში მსგავს ვითარებასთან გვეკონდა საქმე.

აფხაზეთის კონფლიქტში მოხდა სხვადასხვა ძალების ჩართვა რუსეთიდან, მათ შორის ჩრდილოეთკავკასიიდან, თურქეთიდან. ჩვენი უშუალო მეზობლები, რომლებიც ცნობენ საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, ქვეყნები, ვისგანაც საქართველო დღემდე გრძნობს მნიშვნელოვან მხარდაჭერას, ამავე დროს ჩვენი ქვეყნის დესტაბილიზაციის წყაროს წარმოადგენდნენ. შეიქმნა მდგომარეობა, როდესაც რთულია გაარჩიო მტყუანი და მართალი, მტერი და მოყვარე. ასეთ პირობებში საქართველოს პოზიცია საერთაშორისო საზოგადოებისთვისაც ძნელად გასაგები აღმოჩნდა.

იმ დროს საქართველო ახლო იყო რუსეთთან კონფრონტაციის დაწყებასთან. მაგრამ ეს არსებული მოვლენებისადმი გამარტივებული მიდგომა იქნებოდა, რადგან რეალურად ჩვენთან დაპირისპირებული იყო არა ერთი ძალა, არამედ ძალების კომპლექსი. მათი ურთიერთგამომრიცავი ბუნება მალე გამოამჟღავნა შედარებითმა მშვიდობამ, რომელიც საქართველომ თანამეგობრობაში შესვლით უზრუნველყო. დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის კონფლიქტი, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს შორის მოხდა, (უფრო რთული სახით) მოხდებოდა საქართველოში, - როცა სოხუმის დაცემის შემდეგ შეიარღობებული ძალების უცნაური კონგლომერატი, თბილისისაკენ დაიძრა.

მოვლენების ასეთი განვითარება საქართველს ამ ძალთა ბრძოლის ასპარეზად გადააქცევდა. მათ ერთ ნაწილს მხარდამჭერები ეყოლებოდა რუსეთში, ნაწილს - ჩრდილოეთკავკასიაში და ა. შ. ამის შემდეგ მოვლენები განვითარდებოდა მსოფლიოს სხვა წერტილებში კარგად ნაცნობი სცენარით. დესტაბილიზაციას განიცდიდა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი ამიერკავკასია.

საქართველომ მშვიდობით შესძლო ის, რომ გუშინდელი მოკავშირეებს, რომელთაც ასაზრდოვებდათ არეული მდგომარეობა, ახლა ცუდად ესმით ერთმანეთის. დღეს აფხაზეთში ექსტრემიზმის შესანიღბად აღარ მუშაობს ჩრდილოეთკავკასიური სოლიდარობის იდეა, შედეგად აფხაზეთი პოლიტიკური კვანძი გამარტივდა. თუ 92-94 წლებში საქართველოს არანაირი სივრცე არ გააჩნდა მანევრირებისათვის და მისი სფერები ცალსახად იყო ნაკარნახევი მიმდინარე მოვლენებით, დღეს მას არჩევანის საკმარესურსი გააჩნია, ეფექტური, მიზანმიმართული ხაზის გასატარებლად, როგორც აფხაზეთის პრობლემის, ისე მთლიანად ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტისათვის.

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ჩამოყალიბდა აფხაზეთის კონფლიქტისა და იმ კრიზისის ფონზე, რომელიშიც ქვეყანა დამოუკიდებლობის პირველი დღიდან აღმოჩნდა. აფხაზეთი, სხვა არსებული თუ პოტენციური კავკასიური კონფლიქტები საფრთხეს უქმნის არა მარტო ცალკეულ კავკასიურ სახელმწიფოს, არამედ სტაბილურობას მთელს რეგიონში. ასეთი კონფლიქტების შედეგები ისეთი მცირე სახელმწიფოებისათვის, როგორც საქართველოა, შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. ამგვარად საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს არსებული რეგიონული კონფლიქტების შემდგომი სტაბილიზაციისა და სრული ლიკვიდაციისათვის საჭირო პირობების შექმნა, მყარი მექანიზმების ფორმირება იმისათვის, რომ მომავალში ასეთი კონფლიქტები აღარ წარმოიშვას და აღარ განვითარდეს. ამავე დაროს ჩვენ გავაგრძელებთ დაწყებულ ხაზს - ხაზს მშვიდობისაკენ, რადგან, როგორც ჩვენი გამოცდილება გვეუბნება, ექსტრემიზმს და ტერორიზმს ასაზრდოვეს კონფორტაცია და არეული მდგომარეობა, ხოლო მშვიდობა მის წინააღმდეგ ყველაზე ეფექტური იარაღია.

3. მდგომარეობის შეფასება რეგიონში მშვიდობის და უსაფრთხოების თვალსაზრისით

დღევანდელი მსოფლიო ძიებაშია იმ მექანიზმებისა, რომელსაც დაეფუძნება ახალი წესრიგი - უსაფრთხოების ახალი, მსოფლიო სისტემა. გაეროს რეფორმირების პროცესი, ახალი პრინციპების ძიება ნატო-სათვის და მისი აღმოსავლეთით გაფართოების ტენდენცია, წარმოშობა და განვითარება შედარებით ახალი, რეგიონული ორგანიზაციებისა, ისეთების, როგორცაა ევროსაბჭო და ეუთო, რომლებმაც უნდა შეავსონ ის პოლიტიკური ვაკუუმი, რომლის შევსებასაც ძველი ორგანიზაციები ვერ ახერხებენ, ამ პროცესის გამოვლინებაა.

ახალ გარემოში თავისი როლისა და ადგილის გააზრებითაა დაკავებული მსოფლიოს ქვეყნების დიდი ნაწილი, მათ შორის მძლავრი რეგიონული ქვეყნები - რუსეთი, ირანი და თურქეთი, რომლებიც ტრადიციულად დიდ გავლენას ახდენენ კავკასიაზე და აქ ბევრ საკითხში მათი ხედვა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისაგან: რუსეთი კავკასიის სახელმწიფოებს, ისევე როგორც სხვა ყოფილ სსრკ რესპუბლიკებს, ახლო საზღვარგარეთს უწოდებს, განიხილავს მათ როგორც უსაფრთხოების სარტყელს თავის ირგვლივ და ამ სივრცეზე კონტროლის შენარჩუნებას ცდილობს. ირანისათვის კავკასიური და ცენტრალური აზიის სახელმწიფოები ბუფერია, რომელიც საფუძველს უსპობს მის

ტრადიციულ შიშს რუსეთიდან აგრესიის საფრთხის გამო. ხოლო თურქეთს ამ ბუფერის გაჩენით თავისი ტრადიციული თურანის იდეის აღორძინების შესაძლებლობა ექმნება, რომელმაც უნდა გააერთიანოს ყველა თურქული წარმოშობის ხალხი, მათ შორის კავკასიაში. მაშინ როდესაც რუსეთი და ირანი შეეცადნენ კასპიის ზღვა განეხილათ როგორც ჩაკეტილი წყალსატყევი, რაც ხელს შეუშლიდა დასავლური თუ სხვა კომპანიების შემოსვლას რეგიონში, თურქეთს ამ საკითხთან დაკავშირებით, ისევე როგორც ევროპა-აზიის სატრანსპორტო კორიდორთან დაკავშირებით, მკვეთრად განსხვავებული მიდგომა გააჩნია. განსხვავებულია რუსეთის თურქეთისა და ირანის დამოკიდებულება კავკასიური კონფლიქტების მიმართაც და ა. შ.

ასეთი მიდგომარეობა ქმნის მძაფრ კონკურენტულ ფონს ჩვენს რეგიონში, რომელზედაც იკვეთება კარგად ნაცნობი რეგიონული ორიენტაციები კავკასიელებისა, რომელთა უსაფრთხოების ტრადიციული გაგება ეფუძნება მათ ალიანსს რომელიმე დიდ რეგიონულ ქვეყანასთან:

აზერბაიჯანი ცდილობს ააწყოს პრაგმატული ურთიერთობები რუსეთთან, თუმცა მთლიანობაში იგი თურქეთზეა ორიენტირებული. სომხეთი რუსეთის სამხედრო-სტრატეგიული მოკავშირეა რეგიონში და მას, სხვა კავკასიურ სახელმწიფოებთან შედარებით, კარგად განვითარებული კავშირები აქვს ირანთან. ჩრდილოეთ კავკასია, კერძოდ ჩეჩნეთი, მართალია იგი რუსეთის ფედერაციის ნაწილია, დღეს უშუალოდ მონაწილეობს რეგიონულ პროცესებში და პირაპირ გაველენას ახდენს ამიერკავკასიის სტაბილურობაზე. იგი ცდილობს მონახოს მხარდაჭერა თურქეთში და სამხრეთის ისლამურ ქვეყნებში. მართალია, წარსულში საქართველო-რუსეთის ალიანსი განმსაზღვრელი აღმოჩნდა არა მარტო საქართველოს, არამედ მთლიანად კავკასიის ბედისათვის, დღეს საქართველოს არ გააჩნია გამოკვეთილი რეგიონული ორიენტაცია და აფხაზეთში მოვლენების განვითარება განმსაზღვრელა ამ მხრივ.

კავკასიის სახელმწიფოების ორიენტაციების ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს რუსეთის, თურქეთის და ირანის წონასწორობას კავკასიაში და, ამ აზრით, იგი მართლაც კავკასიური სახელმწიფოების უსაფრთხოების ერთგვარ გარანტიად გვევლინება, მაგრამ უსაფრთხოების ასეთი სისტემა უსუსურია შიდაკავკასიური კონფლიქტების მიმართ, რომლებიც დღეს რეგიონში მშვიდობისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. უფრო მეტიც, ხშირად სწორედ ეს სისტემა გვევლინება შიდაკავკასიური წინააღმდეგობების ესკალაციის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ და აი რატომ: წინააღმდეგობები დიდ რეგიონულ ძალებს შორის, იწვევს მათთან ალიანსში მყოფი კავკასიურ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობების გაძლიერებას. თავის მხრივ, დაძაბულობა კავკასიურ ქვეყნებს შორის იწვევს დიდი რეგიონული ძალების ჩარევას ამ წინააღმდეგობებში, რაც თვისობრივად სხვა სახეს აძლევს შიდაკავკასიურ დაპირისპირებებს. 1992 წელს თურქეთის გააქტიურებამ ყარაბაღის კონფლიქტთან დაკავშირებით გამოიწვია რუსეთის მწვავე რეაქცია, რასაც არა მარტო რეგიონის, არამედ გლობალური დესტაბილიზაცია შეიძლება მოჰყოლოდა. დღეს რუსულ თურქული ურთიერთქმედება პერიოდული, შეიარაღებული ინციდენტების სახით გამოვლინდება (რასაც ასევე რეგიონის ფართემასშტაბიანი დესტაბილიზაცია შეუძლია გამოიწვიოს) და იგი გარკვეული აზრით გაგრძელდება იმ უცნაური თანამშრომლობისა, აფხაზეთში, საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების გვერდის ავლით, რუსულ და თურქულ წრეებს რომ აქვთ გამართული. შიდაკავკასიურ კონფლიქტებზე იგივე გავლენას ახდენს კავკასიური სახელმწიფოების მცდელობა მედიატორები და მხარდამჭერები ეძებონ რომელიმე ერთ რეგიონული ქვეყნის შიგნით - ჩრდილოეთკავკასიელთა გამოკვეთილი ორიენტაცია რუსეთის საკანონმდებლო, ხოლო საქართველოს ორიენტაცია რუსეთის აღმასრულებელ შტოზე, კიდევ უფრო

აძლიერებდა არსებულ დაპირისპირებებს აფხაზეთში.

დღეს კავკასიელებს შორის თანდათან მკვიდრდება აზრი იმის შესახებ, რომ კავკასიური სახელმწიფოების უსაფრთხოება და სტაბილურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ერთმანეთზე და, უფრო მეტიც, ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობს. ამიტომ ინტენსიური ხდება შიდაკავკასიური დიალოგი. ენერგიულად ვითარდება ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობა და ამ ურთიერთობის მუდმივი წევრი ხდება სომხეთი. დაიწყო დაპირისპირებულ მხარეების - სომხეთისა და აზერბაიჯანის პირდაპირი დიალოგი. ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება საქართველოსა და ჩრდილოეთკავკასიას შორის, ამცირებს აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოეთკავკასიელების ხელახალი ჩარევის ალბათობას.

დღეს დასავლეთთან პირდაპირი ურთიერთობები კავკასიურ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს თავი დააღწიონ ტრადიციულ კონკურენციას დიდ რეგიონულ ძალებს შორის და მეტად იზრუნონ საკუთარ ინტერესებზე. დასავლეთის სახელმწიფოების ხელშეწყობით კავკასიური ქვეყნები წარმოდგენილები არიან მრავალ საერთაშორისო ორგანიზაციაში, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ მსოფლიოს და რეგიონული პოლიტიკის ფორმირებაზე უშუალო გავლენა მოახდინონ. შედეგად, დღეს სამივე კავკასიური სახელმწიფო გახსნილია დასავლეთის ქვეყნებთან თანამშრომლობისათვის და რაც მათ მიერ აღიქმება როგორც მათი უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მდგენელი.

ამგვარად დღეს კავკასიური სახელმწიფოების მიდგომა უსაფრთხოების საკითხისადმი უფრო რთული და სტრუქტურირებული ხდება. ტრადიციული სისტემის გვერდით განვითარებას იწყებს უსაფრთხოების ახალი მექანიზმები - ძლიერდება შიდაკავკასიური დიალოგი და დასავლეთთან პირდაპირი ურთიერთობების მნიშვნელობა. ბუნებრივია ახალ მექანიზმებზე გადასვლა არაა ერთგვაროვანი და პარმონიული პროცესი. მიუხედავად ამისა, რაც უფრო ინტენსიური ხდება შიდაკავკასიური დიალოგი და რაც უფრო ძლიერდება კავკასიური სახელმწიფოების პირდაპირი კავშირები დასავლეთთან, მით უფრო უკეთაა თითოეული კავკასიური სახელმწიფოს უსაფრთხოება უზრუნველყოფილი, მით უფრო სტაბილურია მშვიდობა რეგიონში, მით უფრო მეტია არსებული კონფლიქტებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის შანსი.

4. საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიდგომები

ვეყრდნობით რა არსებულ (რეალურ) ტენდენციებს, რომლებიც რეგიონში უსაფრთხოებისა და მშვიდობის უზრუნველყოფისკენაა მიმართული, შემდეგნაირად ვაყალიბებთ ჩვენს ძირითად საგარეოპოლიტიკურ მიდგომებს:

ლოკალურ დონეზე (კავკასია) -

კავკასიური კონფლიქტები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთზე დიდ ზეგავლენას ახდენენ. (საქართველოს გაფრთხილება, რომ აფხაზეთის კონფლიქტი შეუზღუდავად რუსეთს, სერიოზულად არ მიიღო რუსეთმა, თუმცა ეს მართლაც ასე მოხდა.) შესაბამისად ვერცერთი კავკასიური სახელმწიფოს უსაფრთხოება ვერ იქნება უზრუნველყოფილი საერთო კავკასიური კონტექსტიდან იზოლირებულად, და ამ აზრით კავკასია წარმოადგენს ერთიან რეგიონს (რეგიონული უსაფრთხოების კომპლექსს).

შიდაკავკასიური დიალოგის და თანამშრომლობის განვითარება კავკასიელებს შორის, ამცირებს

კავკასიაში კონფლიქტების წარმოშობის და მათში არაკავკასიური ძალების ჩარევის შესაძლებლობას, სპობს კონფლიქტების ესკალაციის საფუძველს. ამიტომ საქართველოს საგარეო პოლიტიკა შიდაკავკასიურ დიალოგს საკუთარი ქვეყნის და მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებისა და მშვიდობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმად განიხილავს.

საქართველოს პოლიტიკა ყოველთვის კავკასიურ სახელმწიფოებთან თანამშრომლობისა და კავკასიელთა ინტერესების მაქსიმალური დაახლოებისაკენ იქნება მიმართული. იგი მხარს დაუჭერს ამ მიზნისკენ მიმართულ ყოველგვარ ინიციატივას, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს ის. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ისეთ წამოწყებებს, როგორცაა “მშვიდობიანი კავკასია” და კავკასიური საპარლამენტშორისო ანსამბლეა (საქართველო). კავკასიელთა შეხვედრების კისლაგოდსკის ფორმატი და ჩეჩნური იდეა კავკასიაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შესახებ (რუსეთი) და ა. შ.

დარწმუნებულები ვართ, რომ კავკასიაში უსაფრთხოებისა და მშვიდობის მყარ გარანტიებს ქმნის ის ეკონომიკური პერსპექტივები, როლებიც კავკასიური სახელმწიფოების დამოუკიდებლობამ მოიტანა და რომელიც არა მხოლოდ ცალკეული კავკასიური სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების საშუალებას იძლევა, არამედ ქმნის უფრო ფართე პლატფორმას, ყველა კავკასიური სახელმწიფოს შორის, დიდ რეგიონული ქვეყნებს შორის თანამშრომლობისათვის, თანამშრომლობისათვის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

რეგიონულ დონეზე (რუსეთი, თურქეთი და ირანი) -

კავკასიის ტრადიციული პოლიტიკური სურათი რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან ურთიერთქმედების ფონზეა ჩამოყალიბებული. თითოეული კავკასიური ქვეყანა სწორედ რომელიმე მათგანში ხედავდა თავის მოკავშირეს და უსაფრთხოების გარანტიას. და დღეს სწორედ ამ სამი ქვეყანის ერთობლიობა ქმნის კავკასიაში მშვიდობის და უსაფრთხოების გარანტიებს.

დღეს კავკასიაში ამ ქვეყნებს შორის ბუნებრივი ბალანსის აღდგენა ხდება და ნებისმიერი მათგანის მცდელობა - შეასრულოს ლიდერის ფუნქცია რეგიონში, გამოიწვევს კავკასიის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობების ზრდას, კონფრონტაციის გაძლიერებას, მთლიანად რეგიონის დესტაბილიზაციას.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ კავკასია ამ ქვეყნებს უნდა გამოეყოს კედლებით, რადგან ეს აგრეთვე კონფრონტაციული პოლიტიკის თავისებური ფორმა იქნებოდა, რაც ასევე საფთხის შემცველია კავკასიისათვის. საქართველოს, კავკასიას, ჩვენ განვიხილავთ როგორც ხიდს რუსეთს, თურქეთს და ირანს შორის, რომლის დანიშნულებაა არა ის, რომ შეცვალოს მათ შორის არსებული პირდაპირი კავშირები, არამედ გაამდიდროს ისინი, გახადოს კიდევ უფრო ეფექტური და მრავალფეროვანი. კავკასია ჩვენ წარმოვიდგენია როგორც ამ ქვეყნების თანამშრომლობისა და ჯანსაღი ეკონომიკური შეჯიბრის ასპარეზი.

ჩვენ მივესალმებით ამ ქვეყნებთან თანამშრომლობის ნებისმიერ ინიციატივას, რომელიც არ იქნება მიმართული კავკასიურ ქვეყნებთან და დასავლეთთან ჩვენი ურთიერთობის საზიანოდ. ჩვენთვის ასევე მიუღებელი იქნება წინადადებები, სადაც ერთ-ერთ დიდ რეგიონულ ქვეყანასთან ურთიერთობის განვითარება დაკავშირებული იქნება სხვა დიდ რეგიონულ ქვეყანასთან ურთიერთობების შეზღუდვასთან, რადგან, ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ ამ ქვეყნებთან სწორედ ბალანსირებული და არა ცალმხრივი კავშირების განვითარება ქმნის როგორც საქართველოსათვის, ისე მთელი რეგიონისათვის უსაფრთხოებისა და მშვიდობის პირობებს. რეგიონში ამ ქვეყნებს შორის ბალანსი

არის ჩვენთვის როგორც სამხედრო-პოლიტიკური, ისე ეკონომიკური საკითხებისადმი მიდგომებისას ორიენტირი.

ამ ქვეყნებთან ბალანსირებული, ორმხრივი ურთიერთობების გარდა ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ისეთ ორგანიზაციებში თანამშრომლობას, როგორცაა დსთ, შავი ზღვისპირა ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის და კასპისპირა ქვეყნების თანამშრომლობის ორგანიზაციები.

გლობალურ დონეზე (დასავლეთი, არარეგიონული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები) - დასავლეთის განვითარებულმა ქვეყნებმა: გერმანიამ, საფრანგეთმა, ინგისმა და აშშ მ საქართველოსათვის უმძიმეს ვითარებაში სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა, მაშინ, როდესაც ისინი ვისგანაც ჩვენ ველოდით, რომ პირველები გააკეთებდნენ ამას, პასიურობდნენ, და ქონდათ დაუსრულებელი პოლემიკა - ერთიანი უნდა იყოს საქართველო თუ დანაწევრებული. ჩვენ მივისწრაფვით დასავლეთისაკენ და ეს არაა მხოლოდ მაღლიერების გამოვლენა ჩვენი დამოუკიდებლობის მხარდაჭერისათვის ან სამაგიერო უპრეცედენტო ჰუმანიტარული თუ სხვა დახმარებისათვის. ჩვენთვის ესაა ცივილიზაციისა და დემოკრატიული ღირებულებებისაკენ სწრაფვა.

გამომდინარე ძველი მსოფლიოს რეალობიდან, როდესაც საქართველო, კავკასია, მხოლოდ რუსეთის ირანის ან თურქეთის კონტექსტში განიხილებოდა, საქართველოს სწრაფვა დასავლეთისაკენ გამოიხატებოდა ფორმულით, რომლის მიხედვითაც საქართველოს გზა დასავლეთისაკენ რუსეთზე გადიოდა. დღეს მსოფლიო პოლიტიკის მიერ რომელიმე დიდი რეგიონული ქვეყნის “კავკასიური პოლიტიკის“ მხარდაჭერა გამოიწვევდა ამ ქვეყნის სასარგებლოდ კავკასიაში ბალანსის დარღვევას, რასაც შიდაკავკასიური წინააღმდეგობების ზრდა და კანფლიქტების ესკალაცია მოსდევს. ამიტომ ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს დასავლეთთან პირდაპირი კავშირების ალტერნატივა ვერ იქნება ჩვენი დასავლეთთან კავშირები ნებისმიერი დიდი რეგიონული ქვეყნის გავლით ან საშუალებით.

ამგვარად დასავლეთთან საქართველოს პირდაპირი კავშირების განმტკიცება არ შეიძლება იყოს რაიმე პირობებთან დაკავშირებული. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამშრომლობის ყველა ის ფორმა, რომელიც ჩვენი დასავლეთთან, დასავლეთის ქვეყნებთან კავშირების განმტკიცებისკენაა მიმართული, საქართველოს, მთლიანად კავკასიის დასავლურ სამყაროში, დასავლურ ღირებულებათა სისტემაში ინტეგრირებას უწყობს ხელს.

ჩვენ დასავლეთს განვიხილავთ არა როგორც ძალას, რომელსაც თავისი შემოსახლერული ადგილი გააჩნია რეგიონული ძალების სისტემაში, არამედ როგორც მასტაბილიზირებელ ფაქტორს. ნატოს (ასევე ეუთოს) ჩვენ ვუყურებთ არა როგორც სამხედრო პოლიტიკურ ალიანსს, რომელიც მიმართულია რომელიმე ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის წინააღმდეგ, არამედ როგორც ორგანიზაციებს, რომლებიც მსოფლიო უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად ჩამოყალიბდება. ჩვენ ვესწრაფვით მათთან ურთიერთობას და ყოველთვის მივიღებთ მონაწილეობას ერთობლივ პროგრამებში, ისეთებში როგორცაა “თანამშრომლობა მშვიდობისათვის“ და ა. შ.

იგივე ფორმულით ვუდგებით ურთიერთობების განვითარებისას სხვა არარეგიონულ ქვეყნებთან, რომლებიც როგორც წესი ნეიტრალურები არიან კავკასიაში ტრადიციული დაპირისპირებებისა და წინააღმდეგობების მიმართ. პირდაპირი კავშირების გაძლიერებას ისახავს მიზნად ჩვენი ურთიერთობები უკრაინასთან, ცენტრალური აზიის ქვეყნების ჯგუფთან, ასევე მსოფლიოს ბევრ სხვა ქვეყანასთან.

ამგვარად, - საქართველოს საგარეოპოლიტიკური ორიენტირები, რომლებიც მიმართულია რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ, შეგვიძლია დავახასიათოთ შემდეგი მოკლე ფორმულების საშუალებით: ლოკალურ დონეზე - შიდაკავკასიური დიალოგის გაძლიერება და კავკასიელების ინტერესების დაახლოება; რეგიონულ დონეზე - რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან კავშირებს შორის ბალანსის უზრუნველყოფა; გლობალურ დონეზე - პირდაპირი კავშირების განვითარება დასავლეთთან, სხვა არარეგიონულ ქვეყნებთან.

5. დასკვნა

ჩამოთვლილი მიდგომები წარმოადგენენ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ხედვის ერთიან კომპლექსს (სისტემას) და რომელიმე მათგანის დარღვევა საფრთხეს უქმნის მთელს საგარეოპოლიტიკურ კურსს. მაგალითად: “პირდაპირი კავშირის“ დარღვევა, ვთქვათ დასავლეთთან ურთიერთობების აწყობა რომელიმე დიდი რეგიონული ქვეყნის “გავლით“ გამოიწვევდა ამ რეგიონული ქვეყნის პოზიციების გაძლიერებას კავკასიაში, შედეგად დაირღვევა “ბალანსი“ (წონასწორობა) დიდ რეგიონულ ქვეყნებს შორის, რაც კავკასიელების ინტერესების დაშორებას და შიდაკავკასიური დიალოგის შესუსტებას გამოიწვევდა. შესაბამისად გაიზრდება კონფლიქტების ესკალაციის ალბათობა კავკასიაში.

საქართველოს ნებისმიერი საგარეოპოლიტიკური ინიციატივა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს აღწერილ მიდგომებს და თანხმობაში უნდა იყოს მათთან. მაგალითად: უკრაინა-საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობის ინიციატივა თანხმობაშია არსებულ მიდგომებთან, რადგან, ერთის მხრივ ძლიერდება ჩვენი “პირდაპირი კავშირები“ არარეგიონულ ქვეყანასთან, ხოლო მეორეს მხრივ - “შიდაკავკასიური დიალოგი“, ხდება ორ კავკასიურ სახელმწიფოს შორის ინტერესების დაახლოება.

არსებული დოკუმენტი გადმოგვცემს საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიდგომების სისტემას სახელმწიფოებრივი განვითარების მოცემული პერიოდისათვის და იგი ღია დოკუმენტია შემდგომი დამუშავებისა და განვითარებისათვის.